**მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი #2**

**20.06.2014 წელი**

ქ. თბილისი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**კომისიის თავმჯდომარე** — **ირაკლი გელაშვილი**

**კომისიის წევრები** — ვახტანგ ტუკვაძე, თომა დეკანოიძე, გაიოზ მენთეშაშვილი.

**კომისიის აპარატის წევრები** — გიგა მენაბდიშვილი, დავით კოპალიანი.

**სხდომას არ ესწრებოდა:**

**კომისიის წევრი** — ზაზა გაგნიძე.

**დღის წესრიგი:**

**მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის (გოჭკადილი) მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ.აბაშის კანიონის დამთვალიერებელთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით კონკურსში (განცხადების უნიკალური N1247) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.**

**მოისმინეს:**

კომისიის აპარატის წევრის, გიგა მენაბდიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიის სხდომის დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ კონკურსანტმა, **შპს „Live Design"-მა და შპს „სახაზავმა"** სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს მიერ 2014 წლის 16 მაისს გამოცხადებულ კონკურსში წარმოადგინეს საკონკურსო წინადადებები.

**განიხილეს:**

**შპს „Live Design"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 გრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას.
ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ერთიანი პრეზენტაცია (კონცეფცია, განმარტებითი ბარათი და რენდერები) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან გარდა ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერისა რომელიც არ არის წარმოდგენილი და მოთხოვნილი იყო საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 თავის მე-4 პუნქტით.
ასევე, კონკურსანტის მიერ სრულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი პორტფოლიოს სახით, რომელიც მოთხოვნილი იყო საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 თავის პირველი პუნქტით.

**შპს „სახაზავი"-ს** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (რომელიც შედგენილია „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 გრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.) და საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება, 54200 (ორმოცდათოთხმეტი ათას ორასი) ლარი არ აღემატება კონკურსის სავარაუდო ღირებულებას.
ამასთანავე, საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დანართი და ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (წარმოდგენილი პორტფოლიოს სახით), ერთიანი პრეზენტაცია (კონცეფცია, განმარტებითი ბარათი და რენდერები) რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისობაშია საკონკურსო მოთხოვნებთან გარდა ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერისა რომელიც არ არის წარმოდგენილი და მოთხოვნილი იყო საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 თავის მე-4 პუნქტით.

**კომისიამ დაადგინა:**

1. **შპს „Live Design"-ის** და **შპს „სახაზავი"-ს** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად არ შეესაბამება საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და საჭიროებს დაზუსტებას;

2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების შესაბამისად, **შპს „Live Design“-ს** განესაზღვროს 3 სამუშაო დღე, რათა წარმოადგინოს ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერა რომელიც მოთხოვნილი იყო საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 თავის მე-4 პუნქტით და ასევე ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ პორტფოლიოს სახით.

**შპს „სახაზავ“-ს** განესაზღვროს 3 სამუშაო დღე, რათა წარმოადგინოს ობიექტების მშენებლობის და მონტაჟის წარმართვის ტექნოლოგიის აღწერა რომელიც მოთხოვნილი იყო საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 თავის მე-4 პუნქტით.

3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს **შპს „Live Design“-ს** და **შპს „სახაზავ“-ს.**

**კომისიის თავმჯდომარე** /ირაკლი გელაშვილი/

**კომისიის წევრი** /ვახტანგ ტუკვაძე/

**კომისიის წევრი** /თომა დეკანოიძე/

**კომისიის წევრი** /გაიოზ მენთეშაშვილი/

**კომისიის აპარატის წევრები**

/გიგა მენაბდიშვილი/

/დავით კოპალიანი/